ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №1219

ქ. თელავი 20 დეკემბერი 2011 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ თელავის მუნიციპალიტეტი, (ქ. თელავი, ერეკლე II №16) გამგებლის პეტრე კიკნაძის (შემდგომში „შემსყიდველი") სახით და მეორეს მხრივ შპს „კეთილმოწყობის სამსახური", დირექტორის ბესიკ ქოჩიშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

სოფ. კონდოლში სუბარტეზიული ჭაბურღილის რეაბილიტაცია შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა. კლასიფიკატორის კოდი 44100000 და კლასიფიქატორის დანაყოფი – საწარმოო დანადგარები და მექანიკური ენერგიის გამოყენება. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

2. ხელშეკრულების ობიექტი

„მიმწოდებელი" ვალდებულია შეასრულოს „შემსყიდველის" მიერ ამ ხელშეკრულებით დაკვეთილი **სოფ. კონდოლში სუბარტეზიული ჭაბურღილის რეაბილიტაცია** (სტიქია).

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება 2011 წლის 20 დეკემბრიდან 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

3.2. სამუშაოს მიწოდების თარიღად ითვლება მხარეების ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტი და სამშენებლო ფორმა (ფორმა №2).

3.3. სამუშაოს მიწოდების ადგილი: თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ კონდოლი.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. მიწოდებელი სამუშაოს ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს „შემსყიდველის" მიერ დამტკიცებულ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში განსაზღვრულ პარამეტრებს. პარამეტრების ცვლილების შემთხვევაში ფორმდება შეთანხმება და ობიექტი ჩაბარდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიხედვით, ხელშეკრულებით განსაზღვრულ თანხის ფარგლებში.

4.2. „მიმწოდებელი" ვალდებულია „შემსყიდველს" მისცეს გარანტია, რომ მიწოდებული და შესრულებული სამუშაო თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით და თანამედროვე მოთხოვნების დაკმაყოფილებით არის შესრულებული. ასევე მიწოდებული სამუშაოს

4.3. „შემსყიდველი“ ვალდებულია დაუყონებლივ, წერილობითი ფორმით აცნობოს „მიმწოდებელს“ წუნის შესახებ.

4.4. „შემსყიდველი“ ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

4.5. „მიმწოდებელი“-ს მიერ, წუნის აღმოფხვრასთან დაკავშირებული შეტყობინების შეუსრულებლობისას, „შემსყიდველს“ უფლება აქვს „მიმწოდებლის“ ხარჯზე განახორციელოს აღდგენასთან დაკავშირებული აუცილებელი ოპერაციები ან რისკის მიუხედავად განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. “შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ მოქმედებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით.

5.2.თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს და საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნებს, „შემსყიდველი“ „მიმწოდებელთან“ ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.3. შესრულებული სამუშაოების კონტროლი ევალება ინსპექტირების ჯგუფს. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“.

5.4. შესყიდვის ობიექტის (ეტაპების) მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებლს“, ან უფლებამოსილ წარმომადგენლებს შორის.

6. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 3812 (სამი ათას რვაას თორმეტი) ლარს.

ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ გადასახადებს.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. მომსახურების ღირებულების გადახდა ხდება „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი ფორმა N2-ის, მიღება-ჩაბარების აქტის და ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე.

7.2. მიწოდებული სამუშაოს სრული ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7.3. „შემსყიდველი“ ვალდებულია ანაზღაურება განახორციელოს უმოკლეს ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 30 (ოცდაათი) დღისა ანგარიშ-ფაქტურის ან „მიმწოდებლის“ მოთხოვნის მიღებიდან. დაუფინანსებლობის შემთხვევაში, „შემსყიდევლი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ ის საჯარიმო სანქციები, რაც დაერიცხება არსებული საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად.

7.4. „მიმწოდებელს“ ავანსის სახით ჩაერიცხება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 50 პროცენტი (ორმოცდაათი), იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცდენისას, ყოველი დაგვიანებული დღისათვის, „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ფასის 0.1 პროცენტის ოდენობით.

8.2. თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 პროცენტს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3 ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში „შემსყიდველი“-ს მიერ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში „მომწოდებელს“ აქვს უფლება მოითხოვოს საურავი 0.1 პროცენტი ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.ფორს-მაჟორი

9.1 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემკვეთსა და/ან შემსრულებელს შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინის და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

9.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. სხვა პირობები

12.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

12.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

12.3. ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12.4. ხელშეკრულებით დაფიქსირებული ფასის ყოველი შეცვლა მხარეების მიერ ფორმდება დოკუმენტალურად.

12.5. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიაანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

თელავის მუნიციპალიტეტი
ს.კ. 231280093
ქ. თელავი, ერეკლე II №16

„მიმწოდებელი“

შპს „კეთილმოწყობის სამსახური“
ს.კ. 231281109
ა/ნ №GE11VT2900000008913408
ბანკის კოდი
სს „ვითიბი ბანკი”-ს თელავის ფილიალი
მის: ქ. თელავი, ალადაშვილის ქ. №2
ტელ:272579

ხელმოწედა და ბეჭედი

პეტრე კიკნაძე
(შემსყიდველის სახელი, გვარი)

ხელმოწედა და ბეჭედი

ბესიკ ქოჩიშვილი
(მიმწოდებლის სახელი, გვარი)